ლელო
№24
(10935)
ივლისი.1995 წ.
ფასი 800 რუბლი, ან 200 000 კუპონი.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# გიხაროდენ! თბილისის, ბათუმის და სამტრედიის საფეხბურთო მარშრუტები ევროპაზე გადის!



## ტაისონის გულახდილი აღსარება

იხ. მე-4 გვ.

## უეფამ ჩვენი საფეხბურთო კლუბები ევროტურნირებში საასპარეზოდ დაუშვა

### ეპლე საქართველოში ჩამოდის

როგორც წინა ნომერში „ლელო“ იუწყებოდა, 30 ივნისს უეფას შტაბ-ბინაში უნდა გამართულიყო „ტასკ ფორსის“ კომიტეტის სხდომა, სადაც განიხილებოდა 1995-96 წლების საფეხბურთო სეზონში ევროპულ საკლუბო ტურნირებში გუნდების დაშვება-არდაშვების საკითხი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახურიდან შევიტყვეთ, რომ უეფას კომიტეტის ეს სხდომა ჟენევაში ჩატარდა. მიღებულია გადაწყვეტილება, რომელსაც ველოდით, მაგრამ უეფას შარიანი ხასიათი რომ ვიცით, მაინც რაღაცის გვეშინოდა.

მაშ ასე, წლევანდელ ევროტურნირებში საქართველოს სამი (!) გუნდი იასპარეზებს: თბილისის „დინამო“ და სამტრედიის „სამტრედია“ — უეფას თასის, ხოლო ბათუმის „დინამო“ — თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ჩაებმება. ამავე დროს, ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ბელარუსი, მოლდოვა, ლიტვა, ესტონეთი, მაკედონია, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვ. უფლება მისცეს იასპარეზონ მხოლოდ თითო გუნდით.

როგორც ხედავთ, ქართული ფეხბურთის წონამ, მისმა წარმომადგენლობამ საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვნად იმატა. რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციამ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მზარდმა ავტორიტეტმა, ევროპულ ოფიციალურ შეჯიბრებებში საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ წარმატებულმა გამოსვლამ თავისი შედეგი გამოიღო.

მოპოვებულ წარმატებას გაფრთხილება უნდა: დედაქალაქის, აჭარის, იმერეთის რეგიონის ხელისუფალთ დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რათა ღირსეულად უმასპინძლონ ევროპის ქვეყნების საფეხბურთო კლუბებს. თუ ვის, ამას 12 ივლისს გამართული წილისყრა დაასახელებს. სავარაუდოა, რომ ბათუმისა და სამტრედიის გუნდები შეჯიბრებაში საკვალიფიკაციო ტურიდან (8-9 და 22-23 აგვისტო) ჩაებმებიან, ხოლო თბილისის „დინამო“, როგორც უფრო მაღალი რეიტინგის კლუბი, ამ ეტაპს გამოტოვებს და სექტემბრიდან ჩაერთვება ასპარეზობაში.

P.S. გაზეთის დასაბეჭდად გაშვების წინ შევიტყვეთ — **4-6** ივლისს საქართველოში საინსპექციო ვიზიტით ჩამოდის უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს უფროსი ერიხ ეპლე. სტუმარი გაეცნობა ბათუმისა და სამტრედიის სტადიონებს, სასტუმროებს, საკომუნიკაციო სისტემებს და მხოლოდ ამის შემდეგ უეფა გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ სად უმასპინძლონ ქართულმა კლუბებმა თავიანთ მეტოქეებს.

* * *

უეფას თასის შარშანდელ გათამაშებაში მიღწეული შედეგისათვის თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი 300 ათასი შვეიცარული ფრანკით დაჯილდოვდა.



ჩოხელის ქუჩა,
ჩოხელის სტადიონი,
ჩოხელის ძეგლი

შალვა გოქაძის ფოტო.

იხ. მე-2 გვ.

## ველოსპორტს დიდი პატივი მიაგეს

**ველოსპორტის საერთაშორისო დღე — 25 ივნისი სპორტის ამ სახეობაში დაწინაურებულმა ქვეყნებმა საგანგებოდ აღნიშნეს. ევროპაში თითქმის ყველგან მოეწყო ჯგუფური საგზატკეცილო რბოლები პროფესიონალთათვის.**

● ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ეს იყო სეზონის ალბათ ერთ-ერთი მთავარი სენსაცია: „ტროფეო-მატეოდი“ — იტალიის ჩემპიონატის მთავარი პრიზი პესკარაში გამართულ 246-კილომეტრიანი რბოლის შემდეგ გადაეცა მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონს ჯანი ბუნიოს, ერთ დროს სახელოვან ველოსიპედისტს, რომელსაც შარშან 8 სექტემბერს მოპოვებული გამარჯვების შემდეგ არაფრით გამოუჩენია თავი საერთაშორისო რეიტინგიდან ამოღებულ ბუნიოს ერთბაშად 100 ქულა შესძინა. გამარჯვებულმა ერთობ რთულ ტრასაზე საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა — 6:04.36 (40, 565 კილომეტრი საათში).

● ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. სეგოვოში გაიმართა საინტერესო შეჯიბრება, რომელიც „ბანესტოსათვის“ კლასიკური სქემების გამოცდას წარმოადგენდა „ტურ დე ფრანსის“ წინ. 220-კილომეტრიან ტრასაზე „გაქცევის“ მთავარი ინიციატორი მიგელ ინდურაინი იყო, რომელმაც ხელი შეუწყო თანაგუნდელებს მოეპოვებინათ პირველი სამი ადგილი და მერე თავად „განზე გადგა“. გამარჯვება დარჩა ხესუს მონტოიას — 5:37.55.

● ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ. არბონ-როგეილში გაითამაშეს ქვეყნის ღია ჩემპიონატი. ერთ-ერთმა ფავორიტმა, ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა პასკალ რიშარმა („ემ ჯი“) ბრძოლა საფინიშო სწორზე წააგო და პირველობა ფელიჩე პუტიანის („რეფინი“) დაუთმო. მსოფლიოს №1 ველოსიპედისტი ტონი რომინგერი ამ დღეს ქალაქში არ იყო. რბოლის საშუალო სიჩქარე საკმაოდ მაღალი გახლდათ 42,934 კმ საათში.

● ᲑᲔᲚᲒᲘᲐ. გეელეს 244-კილომეტრიან ტრასაზე ქვეყნის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ გახდა 25 წლის ვილფრიდ ნელისენი („ლოტო“). საინტერესოა, რომ პელეტონის ყველა 58 მონაწილეს ერთნაირი დრო (5:34.00) ჰქონდა.

● ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 24 წლის სერვას კნავენმა (ტვმ). 230 კმ მან 5:41. 29-ში გაიარა.

● ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ჩემპიონატი აქაც ღია იყო, თუმცა ოქროს მედალი ადგილობრივმა მრბოლელმა, 28 წლის უდო ბოლტცმა დაისაკუთრა.

● ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. დისტანცია ვერ დაამთავრეს ფავორიტებმა, ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა ჟაკ დიურონმა და ლორან ჟალაბერმა, რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონს ლიუკ ლებლანს და არმან დე ლა კუევასს, ისინი სტარტზე არც გამოსულან. გაიმარჯვა ედი სენიორმა („განი“), რომელმაც 248 კმ 6:05.23-ში გაიარა და საათში საშუალოდ 40, 80 კილომეტრი აჩვენა.

## იუგოსლავია — ევროპის ჩემპიონი

### სკანდალი ფინალში

იუგოსლავიის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელიც რამდენიმე წელი საერთოდ არ არსებობდა, კვლავ „აღდგა მკვდრეთით“ და ამ დღეებში საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლებს დაეუფლა. ფინალურ შეხვედრაში მან ლიტველ კალათბურთელებს აჯობა — 96:90 (48:49). გადამწყვეტი ორთაბრძოლა იყო ერთობ დრამატული და პრინციპული. ერთ მომენტში მსაჯებზე განაწყენებულმა ლიტველებმა დატოვეს სათამაშო მოედანი და ფინალის ჩაშლა დააპირეს, მაგრამ დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დაბრუნდნენ მოედანზე და ორთაბრძოლა დაამთავრეს.

დაწვრილებით ჩემპიონატის შესახებ „ლელოს“ მომდევნო ნომერში მოგითხრობთ.

## მარადონას სახის პლასტიკური ოპერაცია გაუკეთეს



გაურკვეველი, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო ამბები მოდის უცხოეთიდან არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას შესახებ. სულ ახლახან იგი, თითქოს, ბრაზილიის „სანტოსში“ აპირებდა გადასვლას, თითქოს, თვით პელესთანაც ჰქონდა მოლაპარაკება, მაგრამ გამოირკვა, რომ მას თურმე ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსში“ სდომებია თამაში, რის შესახებაც შესაბამისი ფაქსით მიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას.

საქმე ისაა, რომ მარადონა ამჟამად ფიფას მიერ დისკვალიფიცირებულია და თუმცა ამ აკრძალვის გასვლის ვადამდე სულ რაღაც ორიოდე თვე დარჩა, საერთაშორისო ფეხბურთის გამგებლები სულაც არ აპირებენ გამოჩენილი ფორვარდის შეწყალებას. „კანონი კანონია!“ ხაზს უსვამენ საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო ავելანჟი და გენერალური მდივანი ზეპ ბლატერი.

კანონი კანონია, მაგრამ ეტყობა ჟ. ავելანჟიც და ზ. ბლატერიც შეურაცხყოფილნი არიან იმით, რომ მარადონამ მათ საჯაროდ უწოდა „მაფიოზები“ და „ცრუპენტელები“, ამ წყენის საფასურად კი ორთვიან ამნისტიასაც არ იმეტებენ.

ამასობაში დიეგო მარადონა, რომელიც ახლა 34 წლისაა, საგანგებო გულმოდგინებით უვლის საკუთარ პერსონას: მან რამდენიმე კილოგრამი დაიკლო წონაში, ამის გამო ღაბაბი ჩამოეკიდა და ლოყები დაეჭმჩვარა, ფეხბურთელმა კოსმეტიკის კაბინეტს მიაშურა და სახის კანის პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა.



## ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილმა გარბენმა სიცოცხლე და ხალისი შემატა საქართველოს დედაქალაქს

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## სპორტულ ფედერაციებში

ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡ სახეობათა ფედერაციის ყრილობამ ყოველგვარი შეხლა-შემოხლის გარეშე ჩაიარა. ასეა ყოველთვის, როცა თანამოაზრენი ერთმანეთს უგებენ. ოღონდ ეგაა, უმიკროფონოდ ზოგი რამ მოხსენებებიდან დელეგატებისთვის გაუგებარი გახდა. პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზია არავის ჰქონია, ისევ ომარ ღონღაძემ შესთავაზა ყრილობას თავისი კანდიდატურა, რაც ერთხმად გავიდა. პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს თომზარ ცომაია, გენერალურ მდივნად — ზიგფრიდ გვეტაძე.

## ჩოხელის ქუჩა, ჩოხელის სტადიონი, ჩოხელის ძეგლი!

სტადიონს, ამ შესანიშნავი ფეხბურთელის სახელი, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში ეწოდა, მაშინ, როცა თელავის „კახეთი“ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადავიდა. შარშან, მისი სახელობის ქუჩაც გაჩნდა თელავის ცენტრში. და აი ახლა, მადლიერმა თანამემამულეებმა ღირსეულ მამულიშვილს, ერთობლივი ძალისხმევით, ბრინჯაოს ძეგლი აუგეს ადგილობრივი სტადიონის შესასვლელთან, პატარა გორაკზე.

— კარგა ხანია, ვფიქრობდი ამ მონუმენტზე, ვარიანტებს ვარჩევდი —ამბობს ნიჭიერი თელაველი მოქანდაკე, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული (ცნობილი ხელოვანის მერაბ ბერძენიშვილის სახელოსნო), 33 წლის სოსო მაისურაძე, — ჩემს ყველაზე დინამიურ ესკიზზე შევჩერდი; პლასტილინში გამოვძერწე ფიგურა, მერე თიხაში გადატანას თითქმის ნახევარი წელიწადი მოვანდომე. ბოლოს იგი თაბაშირისაგან გაკეთდა და ამ სახით გადაეცა ავჭალის ქარხანა „ცენტროლიტს“. სპეციალისტებმა უმოკლეს ვადაში ოსტატურად ჩამოასხეს ბრინჯაოს 800-კილოგრამიანი ფიგურა.

აქვე დავძენთ, რომ გივი ჩოხელის ძეგლის მაკეტისა და პროექტის ავტორი გახლავთ თბილისელი არქიტექტორი გივი მეტრეველი, შემსრულებელი — თელაველი ინჟინერი როინ თანდილაშვილი. არ შეიძლება არ ვახსენოთ ფიზალზრდის მასწავლებელი ბიჭიკო დეკანოზიშვილი, რომელმაც ძეგლის შექმნის წინადადება წამოაყენა და, საერთოდ, დიდი ამაგი დასდო ჩანაფიქრის ხორცშესხმას.

ძეგლის საზეიმო გახსნა თელაველებმა გ. ჩოხელის დაბადების დღეს, 27 ივნისს დაამთხვიეს. საზეიმო ცერემონიალზე შეიკრიბნენ ვეტერანი ფეხბურთელები, რაიონის ხელმძღვანელები, გ. ჩოხელის ოჯახის წევრები, ფეხბურთის გულშემატკივრები,.

... გაივლის წლები. ძეგლის წინ ჩაივლის ჭაღარა პაპა თავისი თვალებბრიალა შვილიშვილით:

— ვინ არის, პაპი, ეს რკინის კაცი, ბურთს რომ ურტყამს ფეხს?

— გივი ჩოხელია, შვილო, ჩვენებური, თელაველი!

— მაგარი ფეხბურთელი იყო?

— მაგარი, ძალიან მაგარი, ტოლი არ ჰყავდა მწვანე მინდორზე!

ოთარ ნოზაძე

## აფხაზეთი — ქვემო ქართლი

აფხაზეთის და ქვემო ქართლის ჭადრაკის ფედერაციების თაოსნობით თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა აფხაზეთის და ქვემო ქართლის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მეგობრული მატჩი. მონაწილეთა შორის იყვნენ აფხაზეთის ათგზის ჩემპიონი, ეროვნული ოსტატი რევაზ დადიანი, მსოფლიო ჩემპიონი 14 წლამდე ასაკის გოგონათა შორის,. ფიდეს ოსტატი, სოხუმელი რუსუდან გოლეთიანი, სხვა ძლიერი მოჭადრაკეები. 3:2 გაიმარჯვეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა.

სოფიკო ჟულაია

### სკანდალები, კონფრონტაცია...

## შეთქმულება „სპარტაკის“ წინააღმდეგ?

**რუსეთის საფეხბურთო ცხოვრებას ამჟამად ორი ორგანიზაცია განაგებს: საფეხბურთო კავშირი და პროფესიული საფეხბურთო ლიგა. რა ურთიერთდამოკიდებულებაა ამ ორ ორგანიზაციას შორის, რა კონტაქტებია, ჩვენ არ ვიცით და, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც არც გვაინტერესებს, მაგრამ უსიამოვნებანი და კონფრონტაცია, სკანდალები რომ იქ სისტემატურად ხდება, ეს კი ცხადი ფაქტია.**

აი ახლაც! საფეხბურთო კავშირსა (თავმჯდომარე ვ. კოლოსკოვი) და პროფესიულ ლიგას შორის (პრეზიდენტი ნ. ტოლსტიხი) კვლავ უსიამოვნებანი მოხდა. ლაპარაკია არა უბრალო კინკლაობაზე ან საკანცელარიო მიმოწერაზე, არამედ გაცილებით უფრო მნიშვნელოვან მოვლენებზე. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რუსეთის ზოგიერთი ცნობილი, მოწინავე გუნდი უარს ამბობს ითამაშოს ეროვნულ ჩემპიონატში და ლამობს ბოიკოტი გამოუცხადოს მას. ასეთთა შორისაა თვით მისი უდიდებულესობა მოსკოვის „სპარტაკიც“, კლუბი, რომელიც საყოველთაო დიდებით, პოპულარობით და ავტორიტეტით სარგებლობს რუსეთში.

ამას წინათ გაიმართა რუსეთის პროფესიული ლიგის საბჭოს სხდომა, სადაც მკვეთრი ულტიმატუმით გამოვიდა მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი. მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ პროფესიული ლიგა უხეშად არღვევს საყოველთაოდ დაკანონებულ წესებს, მოსყიდული ჰყავს მსაჯები, ხშირია კორუფცია, თვითნებობა და ა.შ. ო. რომანცევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ ნ. ტოლსტიხი შემდგომშიც ერთმანეთს შეუთავსებს რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტისა და მოსკოვის „დინამოს“ პრეზიდენტის პოსტებს, რასაც თან სდევს სისტემატური უკანონობანი დინამოელთა სასარგებლოდ, მოსკოვის „სპარტაკი“ უფლებას იტოვებს შეწყვიტოს მონაწილეობა რუსეთის ჩემპიონატში. დიახ, დიახ, სწორედ ასე: არც მეტი, არც ნაკლები — მოსკოვის „სპარტაკი“ იმუქრება, რომ აღარ ითამაშებს რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატში.

სპარტაკელთა მწვრთნელი ეულად როდია. ანალოგიური განცხადება გააკეთა კამიშინის „ტექსტილშჩიკის“ მწვრთნელმა ს. პავლოვმა, ცსკა-ს ხელმძღვანელობამ, ისინიც იმუქრებიან, რომ განუდგებიან რუსეთის ეროვნულ ჩემპიონატს.

რა არის ეს, წუთიერი პროტესტი, გარდუვალი აუცილებლობა თუ აშკარა და დაუფარავი შანტაჟი? რუსეთის ჩემპიონატი რაღა შეჯიბრებაა, თუ იქ მოსკოვის „სპარტაკი“ არ მიიღებს მონაწილეობას, განსაკუთრებით მას მერე, რაც იმ ლიგაში აღარ არიან კიევის „დინამო“, თბილისის „დინამო“, ერევნის „არარატი“ და სხვანი. ჩვენ კარგად გვახსოვს 1976 წელი, როცა „სპარტაკმა“ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება დაკარგა (სულ ერთი წლით) და ამ ამბავმა მოსკოვის საფეხბურთო საზოგადოებრიობაში ნამდვილი ტრაგედია გამოიწვია. ახლა კი სპარტაკელები სერიოზულად იმუქრებიან დემონსტრაციული იზოლაციით.

არადა, საფეხბურთო რუსეთი „უსპარტაკოდ“ როგორი წარმოსადგენია?! „სპარტაკი“ მოსკოველთა სალოცავი მექაა, იქ ყოველ ათ გულშემატკივარში ცხრა „სპარტაკის“ თავგამოდებული ფანატიკოსია, ისინი თან დაჰყვებიან გუნდს შორეულ მგზავრობებში, ღამეებს ათენებენ რკინიგზის სადგურებში, კლუბის ფორმით დადიან ზამთარ-ზაფხულ, ქალი და კაცი კედლებზე ცარცით წერს „სპარტაკი“ ჩემპიონია!“

პროფესიული ლიგის საბჭოს სხდომაზე ო. რომანცევს შეახსენეს, რომ თუკი საქმე შეთავსებაზე მიდგა, პირველი შემთავსებელი პირადად თვითონ ისაა, ვინაიდან მას ერთდროულად საკომანდო ადგილები უკავია: „სპარტაკის“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი, გუნდის მთავარი მწვრთნელი და ამავე დროს რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი! მეტისმეტი ხომ არაა?

საქმეში ხართ? ო. რომანცევი კვლავ და კვლავ გაიძახის, რომ მსაჯები იძულებული არიან ნ. ტოლსტიხის დიქტატით ხელი გაუმართონ „დინამოს“ და დაჩაგრონ „სპარტაკი“, ყოველნაირად შეეცადონ წინ აღუდგნენ ამ კლუბის წარმატებებს.

ამის თაობაზე მოსკოვის „დინამოს“ ახლანდელმა მთავარმა მწვრთნელმა კონსტანტინე ბესკოვმა თქვა: „1938 წლიდან დიდ ფეხბურთში ვტრიალებ, 12 წელიწადი ვიმუშავე უშუალოდ „სპარტაკში“ და ერთი შემთხვევაც კი არ მახსოვს, რომ ამ კლუბის წინააღმდეგ ვინმეს აზრად მოსვლოდეს შეთქმულება. თვით 1976 წელსაც კი, როცა „სპარტაკი“ უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა, ამგვარი პრეტენზიები არავისა ჰქონია“. ვინ ვინ და კოსტია ბესკოვმა კი კარგად იცის, რაც საბჭოთა ფეხბურთში ხდებოდა.

პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ გადაწყვიტა გადაათამაშოს მატჩები, რომელთა რეალური შედეგი მსაჯების უხეში შეცდომების გამო აშკარად დამახინჯებულია. ამის თაობაზე თავისი შეხედულება ცირკულარული წერილით გამოთქვა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამაც, რომლისთვისაც მსაჯის გადაწყვეტილება საბოლოო და ურყევია. მსოფლიო ფეხბურთის პრაქტიკაში ამგვარი გადათამაშებები არ ხდება. მსაჯის სასტვენი კანონია.

მაგრამ რუსეთში, ეტყობა, სხვა კანონებია. შემთავსებელი სხვას უკიჟინებს შეთავსებას, თვით ისეთი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და გარანტირებული გუნდიც კი, როგორიც მოსკოვის „სპარტაკია“, ძალადობას და შევიწროებას უჩივის, გარს იკრებს უკმაყოფილოებს, ნაწყენებს, „დაჩაგრულებს“.

სკანდალები რუსულ ფეხბურთში არ წყდება...

### საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## ახალი საფეხბურთო სეზონი: კონტურები, სიახლენი, იმედები

საქართველოს მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატი აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიწყება, დეკემბრის 15-მდე მორჩება პირველი წრე. ეს ასპარეზობაც წინა გათამაშების ფორმულით წარიმართება. სათასო შეხვედრები, ჩვეულებისამებრ, ორრაუნდიანია — „შინ“ და „გარეთ“. საფეხბურთო კალენდარში გათვალისწინებული იქნება ე.წ. „ფანჯრები“ ეროვნული, ახალგაზრდული, 18 და 16 წლამდე ჭაბუკთა ნაკრები გუნდებისათვის, აგრეთვე იმ საფეხბურთო-კლუბებისათვის, ვისაც უეფას „ტასკ ფორსის“ კომიტეტი მოწყალე თვალით შეხედავს და ევროტურნირებში დაუშვებს.

ყოველივე ეს აცნობეს სფფ-ში სამუშაო თათბირზე მოსულ პირველი ჯგუფის გუნდების მთავარ მწვრთნელებს. შეკრებაზე, რომელმაც ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, ვრცელი სიტყვით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი. მან მწვრთნელთა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სასწავლო დოკუმენტაციის მოწესრიგების საკონტრაქტო სისტემის დახვეწის აუცილებლობას. კლუბების მეპატრონეთა მხრიდან თვითნებობის ფაქტების აცილების, მწვრთნელთა უფლებების უკეთ დაცვის მიზნით ამ უკანასკნელთ მიეცათ მითითება სასწრაფოდ გააფორმონ პირადი კონტრაქტები. ფეხბურთელების სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად შეკრებაზე დაისახა მიზნობრივი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც დაევალა სფფ-ში ამ მიზნით შექმნილ სამსახურს. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ამიერიდან ჩემპიონატის მატჩებზე არ დაიშვებიან ის მოთამაშეები, რომლებიც მინდორზე უწვივსაფრებოდ გამოვლენ.

შეკრებილნი კმაყოფილებით შეხვდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ უეფას თასის შარშანდელ გათამაშებაში მიღწეული წარმატებისათვის (სამი მოგება ოთხ თამაშში) თბილისის „დინამო“ ფულით დაჯილდოვდა. ამიტომ, სავარაუდოა, რომ თბილისელები უეფას თასის წლევანდელ გათამაშებაში წინასწარ საკვალიფიკაციო წრის გაუვლელად დაიშვებიან, რასაც ვერ ვიტყვით „სამტრედიის“ და ბათუმის „დინამოზე“: ევროტურნირში მონაწილეობის შემთხვევაში, მათ 8-9 და 22-23 აგვისტოს მოუწევთ საკვალიფიკაციო მატჩების ჩატარება. მწვრთნელებმა მოიწონეს წინადადება იმის თაობაზე, რომ უკვე გაისიდან (დაახლოებით ერთი კვირით ადრე, სანამ ახალი ჩემპიონატი დაიწყება) ნეიტრალურ მინდორზე გაიმართოს მატჩი სუპერთასის მოსაპოვებლად (ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის). ასევე დადგინდა, რომ სეზონის ბოლოს მწვრთნელთა გამოკითხვით გამოვლინდეს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი, აგრეთვე „ფეირ პლეის („სამართლიანი თამაშის)“ პრიზის მფლობელი გუნდი.

შეკრებილმა მწვრთნელებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სამსაჯო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს. მართალია, ბოლო საფეხბურთო სეზონში მსაჯობის დონე ამაღლდა, მაგრამ ზოგიერთ არბიტრს მაინც ჰქონდა „ჩავარდნები“. ამასთან დაკავშირებით მწვრთნელებმა (მ. ხურცილავა „სამტრედია“, ჯ. გოგია ზუგდიდის „დინამო“) წამოაყენეს საინტერესო წინადადებები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

შეკრებაზე კვლავ ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საფეხბურთო ცხოვრებაში წარმოშობილი ყველა სადავო საკითხი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უნდა წყდებოდეს, რასაც ფიფას 57-ე პუნქტი ითვლისწინებს.

ზოგიერთმა მწვრთნელმა აღნიშნა ის სიკეთე, რომელიც მოუტანს თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბს სამთავრობო დადგენილება მისი საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ, გულისტკივილით ითქვა, რომ, სასურველია, ასეთი დადგენილებები გამოდიოდეს არა ცალკეულ კლუბებზე, არამედ კომპლექსურად, რესპუბლიკის ყველა გუნდს რომ გამოადგება.

## „ლოკომოტივი“ ჩიხიდან გამოდის!

ქართული სპორტის გასაჭირმა კულმინაციას მიაღწია. უბედურება ისაა, რომ ძალიან გაჭიანურდა ძველი, ასე ვთქვათ, მომხმარებლური ფსიქოლოგიისგან გათავისუფლება და კვლავ ყველა სახელმწიფოს შეჰყურებს — სახელმწიფოს, რომელსაც თავად უჭირს. ხსნის გზა, ცხადია, არის, მაგრამ მისი მოძიებაა საჭირო, ბოლოს და ბოლოს ყველამ რომ მოვალეობა პირნათლად შეა[illegible]ულოს, ესეც საქმეა. ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშეა სპორტული საზოგადოებები, ჩაკვდა მუშაობა.

სიმართლე გითხრათ ის ფაქტი, რომ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტმა გადაწყვიტა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ რეორგანიზაცია და კონფერენციაც დანიშნა, ყველამ სიხარულით აღიქვა. გამოჩნდა ამ უწყებაში სპორტის აღორძინების რეალური პერსპექტივა, მით უმეტეს, კონფერენციამ განახლებული სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელად აირჩია თავად გზის უფროსი, ბატონი რემი ვაშაკიძე, მოადგილეებად კი სპორტის გამოცდილი მუშაკები ნანა ბაღაშვილი (პირველი მოადგილე) და ჯუმბერ ხუბუა.

„ლოკომოტივი“ ჩიხიდან გამოდის!

საკუთარი ინფორმაცია

## ინფორმაცია

**ნიუ-იორკში** დამთავრდა „გრან-პრის“ სერიის მეორე ტურნირი სწრაფ ჭადრაკში. გარი კასპაროვმა ნახევარფინალში ვლადიმერ კრამნიკი დაამარცხა, ფინალში კი ვასილი ივანჩუკს აჯობა.

## დამატებითი მაჩვენებლებით

### საქართველოს პირველობა ჭადრაკში

მოჭადრაკე ვაჟთა წლევანდელი საქართველოს პირველობა საკმაოდ განსხვავდებოდა ადრინდელთაგან. პირველ ყოვლისა, დაწესდა ფულადი შესატანი: 5 დოლარი ოსტატების, 15 დოლარი — ყველა დანარჩენისთვის, მეორე კი ის გახლდათ, რომ შეჯიბრება ამჯერად შვეიცარიული სისტემით გაიმართა 9 ტურად, ხოლო გამარჯვებული საქართველოს ნაკრების წევრი ხდებოდა. დაწესდა სამი ფულადი ჯილდოც 200, 120 და 80 დოლარის ოდენობით.

ტურნირმა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ჭრელ შემადგენლობას მოუყარა თავი — დიდოსტატებით დაწყებული, საკმაოდ დაბალი კატეგორიის მოჭადრაკეებამდე. ეს საერთოდ დამახასიათებელია შვეიცარიული სისტემის შეჯიბრებისთვის, სადაც ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ მეორე ნახევარში იწყება, როცა საპრიზო ადგილების პრეტენდენტთა ჯგუფი იკვეთება, ამჯერად კი პრეტენდენტები საკმარისზე მეტნი იყვნენ.

ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ გამოცდილი საერთაშორისო ოსტატი გია ბაღათუროვი და სენაკელი ოსტატი რომან სიჭინავა. ისინი ბოლო ტურის წინ ნახევარი ქულით უსწრებდნენ 4 მდევარს. მათ ბოლო ზღუდეც წარმატებით გადალახეს: ბაღათუროვმა მძაფრი ბრძოლის შემდეგ მოუგო ბუხუტი გურგენიძეს, რომელსაც ხელს არ აძლევდა ყაიმი, ხოლო სიჭინავამ დაამარცხა ახალგაზრდა რუსთაველი ოსტატი თამაზ გელაშვილი.

ამრიგად, ბაღათუროვმა და სიჭინავამ შეჯიბრება ჩინებული შედეგით 7,5-7,5 ქულით დაამთავრეს, ჩემპიონობის საკითხი კი გადაწყდა დამატებითი მაჩვენებლებით. რომელიც უკეთესი ბაღათუროვს აღმოაჩნდა, მას მიენიჭა ჩემპიონობა და საქართველოს ნაკრებში გამოსვლის უფლება.

6,5-6,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები გაიყვეს საერთაშორისო ოსტატმა სანდრო დგებუაძემ, რომლისგანაც უკეთესი შედეგიც იყო მოსალოდნელი, ოსტატმა ზაზა ხოფერიამ და ზურაბ იგრიაშვილმა (რუსთავი). უკეთესი დამატებითი მონაცემებით მესამე ადგილი იგრიაშვილს მიეკუთვნა.

6-6 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ, რომელსაც წარმატების კარგი შესაძლებლობები ჰქონდა, საქართველოს ექს-ჩემპიონმა კახა შალამბერიძემ, ოსტატებმა გიორგი ბიბილაშვილმა, თამაზ გელაშვილმა (ორივე — რუსთავი), ირაკლი ცქიტიშვილმა და სრულიად ნორჩმა მოჭადრაკეებმა ვალერიან გაფრინდაშვილმა (ქუთაისი) და ნიკა შავთვალაძემ. გაფრინდაშვილს ჭაბუკთა ასპარეზობებში ადრეც ჰქონდა დიდი მიღწევები. რაც შეეხება 11 წლის ნიკა შავთვალაძეს, იგი ამ შეჯიბრებაში წილისყრამ ძლიერ მეტოქეებს შეახვედრა, მაგრამ ყმაწვილი არ დაიბნა და ყველა პარტია ენერგიულად, გაბედულად წარმართა. 6 ქულა ასეთ შეჯიბრებაში ნიკასთვის დიდი მიღწევაა.

ქალთა „ჩათვლა“ ამ ასპარეზობაში, ცხადია, არ არსებობდა. მათთვის მთავარი წვრთნა და მომავალი შეჯიბრებისთვის მზადება იყო. ნინო ხურციძემ მოაგროვა 5,5 ქულა, მირანდა ხორავამ და დიანა დარჩიამ — 5-5, თამარ ხმიადაშვილმა, სოფიკო ნიკოლაძემ და ანა მათნაძემ (თელავი) — 4-4.

გივი გამრეკელი,
ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარაიანი წერდა... ფეხბურთის მატჩების რეცენზიებს

ვისაც განთქმული ავსტრიელი დირიჟორის ჰერბერტ ფონ კარაიანის მეტად დაძაბული მოღვაწეობისთვის მიუდევნებია თვალი, არ შეიძლებოდა გაოცება არ გამოეთქვა მისი არაჩვეულებრივი ენერგიით. არავინ იცოდა რამდენ საათს გრძელდებოდა დირიჟორის სამუშაო დღე. კარაიანი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საოპერო თეატრებს, სიმფონიურ ორკესტრებს, მუსიკალურ ფესტივალებს, მაგრამ ის, რაც ასე თუ ისე, გასაგები იყო 30-40 წლის წინათ, მერეც გაგრძელდა, როცა გამოჩენილ დირიჟორს 80 წელი შეუსრულდა. თუმცა, არც ის შეადგენდა დიდ საიდუმლოებას, თუ საიდან ჰქონდა კარაიანს ამდენი ენერგია — სპორტის წყალობით!

სპორტით გატაცება კარაიანმა ახალგაზრდობიდანვე დაიწყო. ჩინებული ჩოგბურთელი იყო, თამაშობდა გოლფს, სისტემატურად მონაწილეობდა აფროსანთა შეჯიბრებებში, უკვე ხანდაზმულმა მოიგო ტულონ — სან-რემოს რეგატა. საინტერესოა, რომ დირიჟორი მონაწილეობდა შეჯიბრებაში სპორტული მანქანით „პორშე 95-9“-ით მართავდა ორმოტორიან რეაქტიულ თვითმფრინავ „ფალკონ-10“-ს. ადრინდელ სპორტულ ჟურნალებში სხვადასხვა საინტერესო ფოტოსურათების ნახვაც შეიძლება: ერთში კარაიანი მოთხილამურეთა შეჯიბრებაზეა, რომელიც შვეიცარიის ქალაქ სენ-მორიცში გაიმართა, მეორეში ნაჩვენებია, როგორ მონაწილეობდა ალპინისტთა ჰიმალაის ექსპედიციაში. ამავე დროს დირიჟორი ჭადრაკის დიდი მოყვარულიც იყო. უფრო მეტიც — იგი დროს ირჩენდა და მიმოწერით პარტიებს თამაშობდა ამერიკელ კომპოზიტორ ენტონი ბრეგსტონთან.

ფეხბურთით გატაცებას ხომ ნუღარ იტყვით. იყო დრო, როცა კარაიანი ფეხბურთის მატჩების რეცენზიებსაც კი წერდა (ფსევდონიმით), საინტერესო შეხვედრებს არასოდეს გამოტოვებდა.

ჩაუქრობელი ვარსკვლავები

# ხოსე ლეონარდო ანდრადე — კაცი ოქროს ფეხებით!


ხოსე ლეონარდო ანდრადე

მისი სახელი, მისი ბრწყინვალება მხოლოდ პელესას თუ შეედრება. ორივე შავკანიანი იყო, გულშემატკივრები ორივეს „შავ მარგალიტს“ უწოდებდნენ. უფრო მეტიც: ფეხბურთის მეფედ აღიარებული პელესავით, ანდრადესაც შეეძლო მატჩის რიტმის, ტემპისა და მიმართულების შეცვლა, შეეძლო ხელში აეღო თამაშის სადავეები, ანდამატივით თავისკენ მიეზიდა ბრძოლა. ეს მაღალტექნიკური, დაუღალავი ნახევარმცველი თითქოს, რაღაც დამატებით იმპულსს გამოსცემდა მწვანე მინდორზე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მის გუნდს ზედმეტი მოთამაშე ჰყავს.

ნიჭიერმა მუსიკოსმა და მოცეკვავემ ხოსე ლეონარდო ანდრადემ თავისი ტალანტი ფეხბურთშიც შესანიშნავად გამოიყენა. იგი მოქმედებდა არასტანდარტულად, უჩვეულოდ, მარჯვედ და მრავალფეროვნად; ბრწყინვალე დრიბლიორი, საოცარი თამაშის ხედვით გამოირჩეოდა, გადაცემები მიზანსწრაფული და მოულოდნელი ჰქონდა, მუდამ ბრძოლის შუაგულში ტრიალებდა, ბურთთან „ურთიერთობა“ მართლაც ხელოვნების რანგში ჰქონდა აყვანილი. ანდრადე მაყურებელთა გაუთავებელ ტაშს იმკიდა, თუმცა არასოდეს ჰქონია სურვილი ყურადღების ერთადერთი ობიექტი ყოფილიყო.

ურუგვაის ეროვნული ნაკრების 1924 და 1928 წლების ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიო პირველი, 1930 წლის თასის მფლობელის, სუპერგუნდად ჩამოყალიბებაში, მის საყოველთაო აღიარებაში ჯეროვანი წვლილი ხოსე ლეონარდო ანდრადეს მიუძღვის.

წლების განმავლობაში ურუგვაის ნაკრების ბირთვი უცვლელი რჩებოდა, რამეთუ ფეხბურთელები კარგად იყვნენ შეთამაშებულნი და სულ იოლად შეეძლოთ დაცვიდან შეტევაზე გადასულიყვნენ. ამ ბრწყინვალე გუნდის მოთამაშეები გამოირჩეოდნენ საოცარი ინტუიციითა და აღმაფრენით. ყოველივეს, რასაც ისინი აკეთებდნენ, იმ დროისათვის მართლაც ახალი იყო და ანცვიფრებდა არა მხოლოდ მაყურებელს, არამედ მეტოქეებსაც კი.

სწორედ რომ ხოსე ლეონარდო ანდრადეს თამაში იზიდავდა პარიზისა და ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებზე, მონტევიდეოს სტადიონებზე უამრავ მაყურებელს.

ეს ტანმაღალი, მკვრივი ფეხბურთელი მონტევიდეოს სამხრეთ ნაწილში დაიბადა, ალბათ ცოტა გვიან რომ მოევლინოდა სამყაროს, უფრო მეტ დიდებას მოიმკიდა, რადგან საფეხბურთო ურუგვაი ოფიციალურად მხოლოდ 1932 წელს გადავიდა პროფესიონალურ საწყისებზე.

ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ანდრადე დაუბრუნდა მუსიკასა და ცეკვას — დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე პარიზის ვარიეტეს სცენაზე, სადაც მისი მეორე აღიარება, ამჯერად ხელოვანისა, მოხდა.

ხოსე ლეონარდო ანდრადე 1956 წელს მშობლიურ მონტევიდეოში საკმაოდ ახალგაზრდა დაიღუპა გაურკვეველ პირობებში.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ახლახან დამთავრებული ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს ნორვეგიის ნაკრების ნახევარმცველი, 25 წლის ჰეგე რიიზე, რომელსაც გადაეცა სპეციალური პრიზი „ოქროს ბურთი“. საუკეთესო სნაიპერია მისი თანამემამულე ან-ქრისტიან ორონისი (6 გატანილი ბურთი).

● იოჰან კრუიფს, გამოჩენილ ფეხბურთელსა და მწვრთნელს, რომელიც ესპანეთის „ბარსელონას“ უდგას სათავეში, თუ იგი თავს ვერ დააღწევს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც ახლა იმყოფება, განზრახული აქვს დატოვოს კლუბი. ი. კრუიფი ერთ სეზონს კიდევ იმუშავებს გუნდთან, მერე კი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, მას ჯერაც აწუხებს გული, რომლის ოპერაცია 1991 წელს გადაიტანა.

● ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი და ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი ამას წინათ ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ლიტვაში, შეხვდნენ პრემიერ-მინისტრ ადოლფ შლეზიავიჩუსს, შემდეგ გამართეს პრესკონფერენცია, სადაც ილაპარაკეს, რომ უეფას განზრახული აქვს დახმარება აღმოუჩინოს ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებს. კერძოდ, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის მიიღებენ საჭირო სახსრებს.

● ცნობილი კოლუმბიელი ფეხბურთელი ფაუსტინო ასპირილია ბოლო ხანებამდე გამოდიოდა იტალიის „პარმაში“, მაგრამ მისი ურთიერთობა კლუბის ხელმძღვანელობასთან იმდენად დაიძაბა, რომ 26 წლის ფეხბურთელმა აირჩია სხვა გუნდში გადასულიყო. ერთხანს [illegible] მუნდის „ბორუსიაში“ ჩაირიცხება, რისთვისაც კლუბს 10,5 მილიონი დოლარი აქვს გადადებული, მაგრამ მას მერე, რაც „ბორუსიამ“ თავისი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, განაცხადა, რომ 10,5 მილიონი დოლარი მეტისმეტია ფაუსტინო ასპირილიას საფასურადო.

● ბრაზილიელი ფეხბურთელი, იტალიის „ფიორენტინას“ ცენტრალური მცველი გარსიო სანტოსი ამიერიდან ჰოლანდიის „აიაქსში“ ითამაშებს, მან ევროპის ლიგის ჩემპიონთან უკვე გააფორმა 4 - წლიანი კონტრაქტი 4,5 მილიონი დოლარის ოდენობით. „აიაქსის“ მწვრთნელს ლუი ვან გალს გადაწყვეტილი აქვს სა[illegible]ტოსი ფრანკ რაიკაარდის ადგილზე ათამაშოს.

● საფრანგეთის „ბორდოსა“ და ბრაზილიის „ბოტაფოგოს“ ერთმანეთში მოლაპარაკება აქვთ იმის თაბაზე, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი ვალდირი შინ დაბრუნდეს „ბოტაფოგოში“.

● ესპანეთის ცნობილმა სპორტულმა გაზეთმა „მარკამ“ გამოაქვეყნა ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელთა სია განვლილი სეზონის შედეგების მიხედვით: საუკეთესო მეკარე პაკო ბუიო (მადრიდის „რეალი“), მცველი — ფერნანდო იერო („რეალი“), ნახევარმცველი — ფრანი („დეპორტივო“), ფორვარდი — ივან სამორანო („რეალი“).

იმავე ი. სამორანომ დაიმსახურა საუკეთესო ბომბარდირის პრიზი. ჰესუს ლოპეს ნუტომ საუკეთესო მსაჯის წოდება, საუკეთესო მწვრთნელისა — ვიქტორ ფერნანდესმა („სარაგოსა“). ფერნანდო იერო მიიჩნიეს ესპანეთის ნაკრების საუკეთესო მოთამაშედ.

● არგენტინელი მწვრთნელი ოსი არდილესი სათავეში ჩაუდგა მექსიკის „გვადალახარას“. კონტრაქტი დადებულია 2 წლით.

● ესპანეთის ქალაქ სევილიაში 50 ათასი მაყურებელი დაესწრო „ბეტისისა“ და „რეალის“ მატჩს, რომელიც რაფაელ გორდილიოს კარიერის დამთავრებას მიეძღვნა (მან 19 წელი გაატარა ამ ორ კლუბში), რაფაელ გორდილიო 38 წლისაა, 75 მატჩი ჩაატარა ესპანეთის ნაკრებში, ხუთჯერ გახლდათ ქვეყნის ჩემპიონი, იყო უეფას თასის მფლობელი („ბეტისმა“ და „რეალმა“ ფრედ ითამაშეს — 2-2).

● ინგლისის ქალაქი ლიდსი ერთ-ერთი მათგანია, სადაც უნდა გაიმართოს ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შეხვედრები, კერძოდ, ეს დაგეგმილია „კლანდ როუდის“ სტადიონზე. მაგრამ ქალაქის მუნიციპალიტეტი და კლუბი „ლიდსი“ ჯერაც ვერ მოლაპარაკებულან ვინ იქნება სტადიონის მეპატრონე. კლუბი 4,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობს, მუნიციპალიტეტს კი ეს თანხა ეცოტავება. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ განაცხადა, რომ თუ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ქალაქი ლიდსი საერთოდ დაკარგავს ევროპის ჩემპიონატის მატჩების მოწყობის უფლებას.

● ბრაზილიის თასის ფინალში „კორინტიანსმა“ ორ მატჩში დაამარცხა „გრემიო“ (2-1 და 1-0) და სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

● ამხანაგური საერთაშორისო საწვრთნელი მატჩი გაიმართა არგენტინისა და პარაგვაის ნაკრებ გუნდებს შორის, რომლებიც ემზადებიან ამერიკის თასის გათამაშებისათვის (ურუგვაი, 5-23 ივლისი). ანგარიშით 2-1 გაიმარჯვეს არგენტინელებმა.

● შარშან 2 ივლისს ვინმე უმბერტო მუნიოს კასტრომ პისტოლეტით განგმირა კოლუმბიის ნაკრების მცველი ანდრეას ესკობარი, ფეხბურთელი, რომელმაც საკუთარ კარში გაიტანა გოლი 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან მატჩში (2-1 ამერიკელთა სასარგებლოდ). სასამართლო სხდომა დაიწყო, კასტროს მძიმე სასჯელი მოელის.

● წარსულში ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი ჯოვანი ტრაპატონი, რომელიც ახლა 56 წლისაა, ბოლო ხანებში გერმანიაში მოღვაწეობდა მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარ მწვრთნელად, მაგრამ წარუმატებლობათა გამო მისი კავშირი კლუბთან შეწყდა და იგი სამშობლოში დაბრუნდა, სადაც სათავეში ჩაუდგა „კალიარის“. ამ ქალაქის აეროპორტში გულშემატკივრებმა ტრაპატონის საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს.

● იტალიის „ინტერის“ ვიცე-პრეზიდენტი ჯანარიო მოდრონე და გუნდის გენერალური მენეჯერი პაოლო ტავეჯი ლონდონს ჩავიდნენ. იქაურ „არსენალს“ სურვილი აქვს შეიძინოს მილანის „ინტერის“ ჰოლანდიელი ფეხბურთელი დენის ბერგკამპი, რისთვისაც 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი გაიღო. ეს გარიგება უკვე შედგა და ბერგკამპიც „არსენალში“ ჩაირიცხა.

● კარლოს ალბერტო პარეირა, რომლის ხელმძღვანელობითაც ბრაზილიის ნაკრებმა შარშან მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, სამიოდე კვირის წინ გაანთავისუფლეს ესპანეთის „ვალენსიის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. მაგრამ უმუშევრად იგი დიდხანს არ დარჩენილა, პარეირა მიიწვია სტამბოლის „ფენერბახჩემ“. სხვათა შორის, კარლოს პარეირას ამერიკის შეერთებული შტატების ფედერაციიდანაც ჰქონდა მიწვევა ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე.

● საოცარი რამ მოიმოქმედა უნგრეთის ნაკრების მწვრთნელმა კალმან მესეიმ, რომელმაც ეროვნულ ფედერაციას ოფიციალური თხოვნით მიმართა... დაეჯარიმებინათ იგი. საქმე ისაა, რომ უნგრელთა ამასწინანდელ შესარჩევ მატჩში ისლანდიელებთან (ევროპის ჩემპიონატი) კ. მესეი ლანძღავდა თავის ფეხბურთელებს, უხეშად შეურაცხყოფდა მათ და ამწვავებდა ატმოსფეროს. ფედერაციამ მწვრთნელის თხოვნა დააკმაყოფილა და 800 დოლარით დააჯარიმა იგი.

● სერბიელი მწვრთნელი რადომირ ანტიჩი მადრიდის „ატლეტიკოს“ მწვრთნელად მიიწვია კლუბის პრეზიდენტმა ჰესუს ჰილმა. ანტიჩმა ამ პოსტზე შეცვალა არგენტინელი სპეციალისტი ალფიო ბასილე.

● ევროპის რიგ ქვეყნებში დამთავრდა ეროვნული გათამაშებები. ჩემპიონთა წოდებები მოიპოვეს: **შვეიცარიაში** — „გრასჰოპერსმა“, **ბულგარეთში** — „ლევსკიმ“, **ჩეხეთში** — „სპარტამ“, **იუგოსლავიაში** —„ცრვენა ზვეზდამ“, **ლუქსემბურგში** — „უენესმა“. თასების მფლობელები გახდნენ: **შვეიცარიაში** — „სიონი“, **ავსტრიაში** — „რაპიდი“, **ბულგარეთში** — სოფიის „ლოკომოტივი“, **ლუქსემბურგში** — „გრევენმაჰორი“, იუგოსლავიაში — „ცრვენა ზვეზდა“.

კრიმინალური ქრონიკა

## სამი ფეხბურთელი — საპყრობილეში

უნგრეთის ჩემპიონის წოდება ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა“ მოიპოვა. მაგრამ ამ გუნდის ფეხბურთელებმა „კიშპეშტ-ჰონვედთან“ მატჩის შემდეგ გულშემატკივრებთან ერთად მინდორზე აურზაური ატეხეს, პოლიციელებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ერთი სიტყვით, აქტიურად მონაწილეობდნენ უწესრიგობაში.

ბუდაპეშტის საქალაქო სასამართლომ მკაცრი სასჯელი გამოუტანა მოთამაშეებს: ზოლტან ვანიჩეკმა 6 თვის საპყრობილე დაიმსახურა, ანდრაშ ტელეკმა და ტიბორ შიმონმა კი 4-4.

მსჯავრდებულებმა აპელაციით მიმართეს სასამართლოს უმაღლეს ინსტანციას.

## ბერლუსკონი — სასამართლოში

ყველამ იცის, რომ მარსელის „ოლიმპიკის“ მფლობელმა ბერნარდ ტაპიმ ორი წლის პატიმრობა დაიმსახურა საფეხბურთო მაქინაციებისთვის. ახლა სასამართლოშია იტალიის „მილანის“ უფროსის, ქვეყნის ექს-პრემიერმინისტრის სილვიო ბერლუსკონის საქმე. მას ბრალად ედება ქრთამის ორგანიზაცია, კერძოდ, მრავალმილიონიანი ფინანსური მაქინაცია ცნობილი მოთამაშის ჯანლუიჯი ლენტინის შეძენის ოპერაციაში.



# სპონსორთა კეთილი საქმე

საქართველოში ბოლო წლებში გახშირებულ ხსოვნის ტურნირებს კიდევ ერთი შეემატა — თემქაზე „სიხარულის“ სტადიონზე გაიმართა აფხაზეთში ნაბრძოლ სოსო შიოშვილის ხსოვნის ტურნირი, რომელშიც 1983 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობდნენ.

მთელი კვირა მიმდინარეობდა შეხვედრები. საბოლოოდ 13 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს მასპინძლებმა — „სიხარულის“ ფეხბურთელებმა (პრეზიდენტი დემურ ჭაფოძე, მწვრთნელი იუზა წილოსანი). გამარჯვებულთა გუნდში თამაშობდნენ: მამუკა მაისურაძე, მანუჩარ ბაბუხადია, ირაკლი მინდაძე, ზვიად ხრიკაძე, რომან წილოსანი, კობა ჩიტაია, დავით ჭანკოტაძე, გიორგი თაბორიძე, ვახტანგ ფოლადაშვილი, ზვიად დავითაია, გიორგი ჩალაძე, ოთარ არჯევანიძე, გიორგი კობახიძე, ვაჟა მაისურაძე, ლაშა გობეჯიშვილი.

მეორე ადგილზე გავიდა „კავკასიონი“, მესამეზე — „გორდა“.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს ზვიად ხრიკაძე, ბომბარდირი გახდა კობა ჩიტაია (ორივე — „სიხარული“).

შეჯიბრების სპონსორებმა თამაზ ხრიკაძემ და ანზორ მამედოვმა, რომლებმაც ერთდროულად ორი კეთილი საქმე გააკეთეს, ნორჩ ფეხბურთელებს აღუთქვეს, რომ ტურნირს ტრადიციულად, ყოველწლიურად ჩაატარებენ.

ლევან ჯაბაძე.

სურათზე: „სიხარულის“ გუნდი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ტაისონის გულახდილი აღსარება

პროფესიული კრივის პრომოუტერები, როგორც წესი, პრაქტიკული ხალხია და არ არის გასაკვირი, რომ ამა თუ იმ ხელსაყრელი შეხვედრისათვის მზადების პერიოდში შეძლონ, ვთქვათ, რწყილის გატყავებაც კი. მაგრამ, პრომოუტერთა შორისაც არიან განსაკუთრებით გამორჩეულნი, ისეთები, ვინც ქვასაც ადენენ წვენს. ერთ-ერთი ასეთი საქმოსანია მაიკ ტაისონის პრომოუტერი დონ კინგი, რომელიც ცდილობს ტაისონის სახელი და პოპულარობა მაქსიმალურად გამოიყენოს.

მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ექსჩემპიონი ციხიდან გამოვიდა, პირველი ოფიციალური პრესკონფერენცია მასთან ნიუ-იორკში მოეწყო. ამ შეხვედრაზე ითქვა ყველაფერი, რასაც მისგან ელოდნენ:

— 19 აგვისტოს მატჩისთვის (პიტერ მაკნილთან) გულმოდგინედ ვემზადები და დარწმუნებული ვარ, რომ ლას-ვეგასს ერთ დიდ სანახაობას ვაჩუქებ. შეხვედრის შედეგი ჩემთვის ახლავეა ცნობილი, თუმცა, ვემზადები მთელი სერიოზულობითა და მონდომებით. წინათ ზედმეტად ვიყავი თვითდაჯერებული და მეტოქის შესაძლებლობებს ჯეროვნად არ ვაფასებდი. მეგონა, რომ ტაისონის მძლეველი ქვეყნად არ დადიოდა. ასეთმა ქარაფშუტობამ მიმიყვანა იქამდე, რომ 1989 წელს დავკარგე ჩემპიონის ტიტული „ბასტერ“ დუგლასთან ორთაბრძოლაში. ჩემი დამარცხება რომ არ იყო ლოგიკური ეს თავად დუგლასმა დაამტკიცა, რომელმაც სულ მალე დაკარგა ოქროს ქამარი და მერე გაქრა კიდეც ჰორიზონტიდან. სწორედ ამიტომ ვაცხადებ საჯაროდ: „ყველა მოკრივე ძლიერია, ვინც იბრძვის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის და ყველა პატივისცემას იმსახურებს“...

ადრე ასეთი დალაგებული მსჯელობა ტაისონს არ ახასიათებდა.

დონ კინგი კმაყოფილია 19 აგვისტოსათვის სამზადისის მიმდინარეობით. მისი აზრით, შეხვედრის შედეგი კი არ არის მთავარი (ამაში მას, ტაისონის მსგავსად ეჭვი არ ეპარება), არამედ ის, რომ 17 ათასი ბილეთიდან 14 ათასი უკვე გაიყიდა, განაცხადები კი შემოდის და შემოდის.

ვინ იქნება ტაისონის მომდევნო მეტოქე (რა თქმა უნდა, მაკნილთან წარმატების შემთხვევაში)? — ჰკითხეს დონ კინგს. კატეგორიული პასუხი ამ კითხვაზე მას არ გაუცია, ამიტომაც ორი სავარაუდო მეტოქე დაასახელა. ერთი გახლავთ ასევე მისი აღზრდილი ოლივერ მაკოლი — ვბს-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, მეორე კი ვბა-ს ჩემპიონი ბრიუს სელდომი.

მაკნილზე ამბობენ, საშუალო ძალის მოკრივეაო, თუმცა, დანამდვილებით მის შესახებ არავინ არაფერი იცის. კრივის სამყარო გაკვირვებულია: სად გამოქექა კინგმა ასეთი უსახური მეტოქეო. მაგრამ მთლად უსახური მაკნილი არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ტრაბახი მან არავისზე ნაკლები არ იცის. ტაისონის პრესკონფერენციის პასუხად მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ ექსჩემპიონს დაანოკაუტებს არაუგვიანეს მესამე რაუნდისა...

* * *

გავრცელდა ხმა, რომ ვბს-ს ჩემპიონმა ოლივერ მაკოლიმ იტკინა ხელი და ვერ გამოვა რინგზე ფრენკ ბრუნოს წინააღმდეგო (ეს შეხვედრა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მაკოლის სავარაუდო ბრძოლას ტაისონთან). მაგრამ მოკრივეთა პრომოუტერების განცხადებით ეს ყველაფერი ჭორია და არ შეეფერება სინამდვილეს. 22 ივლისს, როგორც ეს დაგეგმილი იყო, მაკოლი შეხვდება ბრუნოს.

## ხუთი რგოლის გარშემო

რუსეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დააწესა ფულადი პრემიები სპორტსმენთათვის, რომლებიც თავს გამოიჩენენ ატლანტის ოლიმპიადაზე და სხვადასხვა ღირსების მედლებს მოიპოვებენ. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, რუსეთის ეოკის ვიცე-პრეზიდენტის ვლადიმერ ვასინის განცხადებით, მიიღებს 50 ათას ამერიკულ დოლარს. შესაბამისი ფულადი პრემიებით დაჯილდოვდებიან, აგრეთვე, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები. ასეთი ჯილდოები, იმავე ვასინის განმარტებით, სავსებით შეესაბამება დიდი ქვეყნების მიერ დაწესებულ ტარიფებს.

სანიჩბოსნო არხი პირველი ოლიმპიური ბაზა იქნება ატლანტაში, რომელსაც სპორტსმენები მოსინჯავენ. ეს მოხდება სულ მალე, აკადემიურ ნიჩბოსნობაში აშშ-ს ღია ჩემპიონატის წინ. რაც შეეხება თავად ჩემპიონატს, მასში მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი ნიჩბოსნებიც, კერძოდ, გერმანიის, ავსტრიის, კანადის, ესტონეთის, საფრანგეთის, გვატემალის, სალვადორისა და უკრაინის წარმომადგენლები. საინტერესოა, რომ 18 თვის წინ ოლიმპიადის ორგანიზატორებმა, არც კი იცოდნენ სად მოეწყობოდა ოლიმპიური რეგატა, ხელოვნური ტბის — ლენიეს კანდიდატურა შეირჩა მხოლოდ 14 თვის წინ და აი, ოლიმპიური ბაზა უკვე მზადყოფნაშია.

ნათია ხუროშვილი

პროფესიულ რინგზე

## ზოგჯერ გამოცდილი ხალხიც ცდება

უკვე საბოლოოდ გახდა ცნობილი, რომ 22 ივლისს ლონდონში უემბლის სტადიონზე არ გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონის ამერიკელ ოლივერ მაკოლისა და ინგლისელ ფრენკ ბრუნოს შეხვედრა, რომელსაც დიდი ინტერესით ელოდნენ მთელს ევროპაში, განსაკუთრებით ბრიტანეთის კუნძულებზე. არადა, ორიოდე დღით ადრე მსოფლიო ჩემპიონის პრომოუტერმა დონ კინგმა და მატჩის ორგანიზატორმა ფრენკ უორენმა საჯაროდ განაცხადეს, რომ ამ მატჩთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ არსებობს და მოარული ხმები ორთაბრძოლის გადავადების შესახებ მტკნარი სიცრუეა. გამოცდილი პრომოუტერების ორი დღის წინანდელ ოპტიმიზმს მხოლოდ ერთი გამართლება ჰქონდა — როგორმე არ ჩაშლილიყო მრავალმხრივ რეკლამირებული და ნანატრი შეხვედრა.

მაგრამ, როგორც ირკვევა, მაკოლის ტრავმა მაინც სერიოზული ყოფილა და მატჩამდე დარჩენილ დროში ვერაფრით ვერ მოხერხდება მოკრივის სრული განკურნება და სათანადოდ მომზადება. ასე რომ, უკვე დაბეჯითებით ლაპარაკობენ მომავალი შეხვედრის თარიღზე — სექტემბერზე.

რაც შეეხება მეორე ორთაბრძოლას ინგლისელ მსოფლიოს ჩემპიონს ნაიჯელ ბენსა და (76,2 კგ) იტალიელ ვინჩენცო ნარდიელს შორის, იგი უსათუოდ გაიმართება დანიშნულ დროს, ოღონდ უემბლიზე კი არა, რომელიმე მეორეხარისხოვან რინგზე.

## კროსვორდი



შვეულად: 1. საჭადრაკო ფიგურა, 2. სპილენძის შენადნობი სხვა ლითონებთან, რომ ლითაც მზადდება სპორტული ჯილდო, 3. სწრაფთამაში, 4. დროის დიდი მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენებით (მათ შორის სპორტში), 5. სპორტული ნაწარმის ცნობილი ფირმა, 6. მთამსვლელთათვის ერთ-ერთი სირთულე, 9. სპორტული ყოველკვირეული გამოცემა უცხოეთში, 10. სპორტის აკრძალული სახეობის დაკანონება, 11. წარსულში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მცველი, 15. ცნობილი ესპანელი ჩოგბურთელის სახელი, 16. ასპარეზი, სარბიელი... 19. ტანვარჯიშული იარაღი, 20. ანტიკურ ნაგებობებში დასაჯდომი ადგილი, 21. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 23. სტადიონის და ასპარეზის ქართული შესატყვისი, 24. რიტმის, რიტმულობის დარღვევა, 27. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 28. სპორტული ინვენტარი.

თარაზულად: 7. სპორტული შეჯიბრება ავტომობილებით, 8. უძველესი სპორტული სარბიელი, 12. ყოფილი სპორტული საზოგადოება, 13. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში, 14. რა ჰქვია მწვერვალს დაპყრობამდე, 15. ჭიდაობის ილეთი, 17. ცნობილი ბრაზილიელი მძლეოსანი, 18. მითოლოგიური ცხენკაცი, 22 სპორტული ნაგებობის სარგებლობის ფორმა, 25. შეხლა-შემოხლა, თავშეუკავებლობა, წრეგადასულობა სპორტში, 26. გრძელ მანძილზე მორბენალი, 27. გეტრი, 29. რაგბის მოთამაშე, 30. წვრთნა, წვრთნის რეჟიმი.

### „ლელოს“ 22-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

შვეულად: 1. აპოლონი, 2. შელია, 3. მალლა, 4. იმერეთი, 6. მარულა, 9. ფიცარნაგი, 10. გოლკიპერი, 14. პაიკი, 15. კაისა, 18. ვერცხლი, 19. თამასა, 20. ალბერტი, 24. მხარა, 25. ერერა.

თარაზულად: 5. სპიდვეი, 7. ტანდემი, 8. ლივერპული, 11. უნცია, 12. უელსი, 13. ჩორთი, 16. ქორქია, 17. ფინიში, 21. თერგი, 22. მსაჯი, 23. კროლი, 26. თხილამური, 27. ბლატერი, 28. კროკეტი.

### 23-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. ლუისი. 5. ანდერსონი. 8. ტოსტაო. 9. სელეში. 12. კარტოზია. 14. ესტაკადა. 18. კაირო. 20. სტიპანიჩი. 21. მაკინტოში. 22. ივანი. 26. ოსტინატო. 28. ჩემპიონი. 30. პიკაპი. 31. სტატია. 32. არგენტინა. 33. ნაძვი.

შვეულად: 1. ბიერკლუნდი. 3. ინტალიო. 4. ანტეოსი. 6. ოსლო. 7. სენა. 10. ბალაიდონი. 11. ოდეკოლონი. 13. ტალანტი. 15 კორნერი. 16 მესხი. 17. კრივი. 18. კიი. 19. ომი. 23. აფრიდონიძე. 24. სტოპერი. 25. კენტენი. 27. ნიკე. 29. პატი.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სომიშვილი. შემსრულებლები: ე. მანჯიშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯიჯიერი.

## საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე

აკადემიაში სასწავლებლად მიიღებიან საშუალო განათლების პირები ასაკის განუსაზღვრელად, რომლებსაც აქვთ სპორტული თანრიგი ან სპორტული კლასიფიკაციის დამადასტურებელი სხვა საბუთი.

### დღის სწავლება

1. დღის სწავლების მწვრთნელთა ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორი) მიღება იწარმოებს სპორტის შემდეგ სახეობებში: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, აღმოსავლური ორთაბრძოლები, ძალოსნობა, კრივი, ფარიკაობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, სათხილამურო, ველოსპორტი, მეკლდეურობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი, რაგბი, ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა.

გამოცდები ჩატარდება სპორტის არჩეულ სახეობაში; ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია“ და „ადამიანი და მისი ჯანმრთელობა“); მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

2. დღის სწავლების პედაგოგიურ ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორი) მიღება იწარმოებს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობაზე. გამოცდებზე დაშვებული იქნება სპორტის ნებისმიერი სახეობის წარმომადგენელი.

გამოცდები ჩატარდება: ფიზიკურ მომზადებაში; ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია“ და „ადამიანი და ჯანმრთელობა“) და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

აკადემიის დღის სწავლების სტუდენტებს საშუალება მიეცემათ ერთდროულად მიიღონ მეორე განათლება ერთ-ერთ შემდეგ სპეციალობაში;

1. „სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია“
2. „სპორტული ჟურნალისტიკა“
3. „სპორტის ფსიქოლოგია“
4. „აქტიური დასვენებისა და ტურიზმის მენეჯერი“
5. „სპორტული ბიზნესის მენეჯერი“

იმ აბიტურიენტმა, რომელსაც სურს დაეუფლოს ერთ-ერთ მეორე სპეციალობას, ამის შესახებ უნდა მიუთითოს განცხადებაში საბუთების ჩაბარების დროს.

აკადემიის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დაეუფლებიან ერთ-ერთ ჩამოთვლილ სპეციალობას, მიენიჭებათ სათანადო კვალიფიკაცია და მათი სამუშაო სფერო, გარდა საწვრთნო ან პედაგოგიური ასპარეზისა, იქნება:

1. სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის სპეციალისტისათვის:

სამკურნალო, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი, საკურორტო-სანატორიული სახელმწიფო დაწესებულებები და ამ სფეროში ფასიანი მომსახურების ობიექტები;

2. სპორტული ჟურნალისტისათვის — პრესის, რადიოსა და ტელევიზიის დაწესებულებები (კორესპონდენტებად, რეპორტიორებად, სპორტულ კომენტატორებად და რედაქციების მუშაკებად);

3. სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალისტისათვის — ნაკრები გუნდები, სპორტული სკოლები, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები;

4. აქტიური დასვენებისა და ტურიზმის მენეჯერის სპეციალისტისათვის — ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი, საკურორტო-სანატორიული დაწესებულებები, ტურისტული ბაზები, ბანაკები და კემპინგები, მასობრივი დასვენების ადგილები;

5. სპორტული ბიზნესის მენეჯერის სპეციალისტისათვის სპორტული სანახაობების ფინანსირება, სპორტული ლატარიების მოწყობა, საზღვარგარეთ და რესპუბლიკის ფარგლებში სპორტსმენთა ტრანსფერი, აღნიშნულ სფეროებში მოქმედ ფირმათა შორის თანამშრომლობის ორგანიზაცია.

დღის სწავლების სტუდენტებს, რომლებიც გაივლიან სამხედრო მომზადების კურსს აკადემიაში არსებულ სამხედრო კათედრაზე, მიენიჭებათ ოფიცრის წოდება და თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან.

### დაუსწრებელი სწავლება

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის განუსაზღვრელად, რომელთაც აქვთ სპორტული თანრიგი სპორტის რომელიმე სახეობაში.

მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე (ქართული და რუსული სექტორი): მწვრთნელი, მასწავლებელი, ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციალისტი.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: ფიზიკურ მომზადებაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია“ და „ადამიანი და მისი ჯანმრთელობა“), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

სწავლების ორივე ფორმაზე ჩარიცხვა მოხდება საერთო კონკურსით ფაკულტეტების მიხედვით.

საბუთების მიღება იწარმოებს **1995** წლის **1** ივლისიდან **20** ივლისის ჩათვლით.

მისაღები გამოცდები ჩატარდება **23** ივლისიდან **10** აგვისტომდე.

გამოცდებზე შეფასება იწარმოებს **10**-ბალიანი სისტემით. **6**-ზე ნაკლები შეფასება ითვლება არადამაკმაყოფილებლად და აბიტურიენტი იხსნება გამოცდებიდან.

### ფასიანი სწავლება

**1995-96** სასწავლო წლიდან აკადემიის სწავლების ორივე ფორმაზე (დღისა და დაუსწრებელი) და იგივე სპეციალობებზე მიღება იქნება ფასიან განყოფილებაზე.

ფასიან განყოფილებაზე შემსვლელი აბიტურიენტები ჩააბარებენ ერთ ტესტირებულ გამოცდას.

ფასიანი სწავლების განყოფილებაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სხვებთან ერთად დაშვებული იქნებიან ის აბიტურიენტები, რომლებიც ვერ ჩაირიცხებიან უფასო სწავლების ფორმაზე.

განცხადებები მისაღებ გამოცდებზე დასაშვებად მიიღება ა.წ. **5** აგვისტოდან **15** აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირისა.

ტესტირებული გამოცდები ჩატარდება **17-18** აგვისტოს.

ბრძანება აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ დაიწერება მათ მიერ სწავლის პირველი წლის საფასურის გადახდის შემდეგ არაუგვიანეს **26** აგვისტოს.

ფასიანი განყოფილების დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებს, რომლებიც გაივლიან სამხედრო მომზადების კურსს აკადემიაში არსებულ სამხედრო კათედრაზე, მიენიჭებათ ოფიცრის წოდება და თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან.

აბიტურიენტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს: საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა №086, ექვსი ფოტოსურათი (3X4), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის), სპორტული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი; პასპორტს და სამხედრო ბილეთს (ქართული ნიმუში) აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით მომსახურებისათვის აბიტურიენტი იხდის 3 ამერიკულ დოლარის ეკვივალენტ ფულად ერთეულს. ჩაჭრილ აბიტურიენტს აღნიშნული თანხა არ დაუბრუნდება.

ღია კარის დღე ჩატარდება **9** ივლისს **12.00** საათზე.

მიმღები კომისიის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49; ტელ.: 29-37-62

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. ● დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) შედის გაზეთის ფასში.